

3  
1953

0140363-30  
0140363-30

დაზავების დღე კორეაში მოედო ქვე-  
უნის მშენდობის მოყვარე ხალხთა ზეიზისა  
და გამარჯვების დღეა!

АЗОВМОС!

AZ MIR

和平

PAIX



ხას. ი. თბილი

605668380

№ 14 თბილისი ივნისი 1953 წ.

გამომცემლობა „კომუნისტი“ წელი XXXI.

ფასი ა. გაბა

# მუკითხვების ან ნახულ ნიჭვრით

საქ. სსრ განათლების სამინისტროს კაპიტალური მუნიცილობის განეობილების უფროსს  
ამ. ალექსანდრე ლადუას

ჩემი საარდადეგო სალამი და კეთილი სასკოლო-სამშენებლო სურვილები, ამ. ალექსანდრე!

ამას წინათ სათითაოდ ჩამოვარე თქვენს სამშენებლო ობიექტებს და ჩემდაუნებურად ჩამათექრა სიტყვა „არდადეგმა“. კარგა ხანს ვითიქრე, შებლზე თითო მივიჭირე და დავასკვენი, რომ სიტყვა „არდადეგი“ ორი სიტყვისაგან უნდა შედგებოდეს: „არასაგან“ და „დადეგისაგან“. არ დადგეო, მოგვიწოდებს ეს პატიოსანი სიტყვა და გვაფხიზებულებს არ შევჩერდეთ, გახურებული სამშენებლო სეზონის დროს საქმეს თვით არ მივანებოთ.

1948 წლიდან რამდენი ზაფხული გავიდა, რამდენჯერ მოგვიწოდებდა დრო — „არ დადგე“, „არ შეჩერდეო“, მაგრამ ზნაურის რაიონის სოფ. აენვის, ორჯონიქიძის რაიონის სოფ. კიცხისა და ბორჯომის რაიონის სოფ. პატარა ცემის სკოლების მშენებლობის დამთავრების საქმეს საქმე თავში საცემად აქვს. ამ სკოლების მშენებლობა 1948 წელს უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ დღესაც მათი მოგვილებული კედლების წინ ქათმების განაქექივით ყრია ქვიშა-აგური და დრო კი — „არ დადგეო“ იძახის.

ვიცი ამ სტრიქონებს წაიკითხავთ და იმ წუთასევე თავის მართლებას დაიწყებთ: „მე რა შუაში ვარ, მე მხოლოდ 1953 წლის 18 მაისს დავიწყე მუშაობა ამ თანამდებობაზეო. კეთილი და პატიოსანი, ჩვენ შესაჩიშნავად ვიცით, რომ სკოლების მშენებლობის საქმე თქვენმა „წინაპარმა“ ივანე ზავიშვილმა წაიყვანა შავად და პროექტურასაც მოხერხებულად დაუძრა, მაგრამ წარსული დროებით ისევ პროექტურას მივანდოთ და ჩევნ კი წლევანდელი მესამე კვარტალისათვის დასამთავრებელ სასკოლო შენობების მშენებლობას გადავავლოთ თვალი.

## მოლა მასრალინა განათლების სამინისტრო

ქ. მახარაძის საშუალო სკოლის მშენებლობა მიმდინარე წლის მესამე კვარტალში უნდა დამთავრდეს. მშენებლობის დასამთავრებლად ხარჯ-აღრიცხვით საჭიროა 495.500 მანეთი, სინამდვილეში მესამე კვარტალში დასახარჯად დაშეებულია მხოლოდ 200.000 მანეთი.



მოლა მასრალინა — ახლა კი მივხდი, თქვენი უგანათლებულესობებო, თუ რატომ არ შეგაქვთ სახელმძღვანელოებში ჩემი ანეგლოფები.

სამშენებლო სეზონი იწურება, სწავლის დაწყება კარზე მოგვადგა, მაგრამ ქ. ცხაკაიას გაეთა მეორე საშუალო, თბილისის გარეუბნის სოფელ ნორიოს 8-წლიანი სკოლის ახალი კორპუსების აშენება და მცხეთის რაიონის სოფ. ბიჭინდის, წეროვნისა და ერედას, გარდაბნის რაიონის სოფ. ტატიანვის, ლაგოდების რაიონის სოფ. ორჯონიქიძასა და თბილისის სტალინის რაიონში ასაშენებელი სკოლები ჯერ კიდევ კალატონ-დურგალ-ხუროების გამოფხიზებას ელიან. როდისლა, ამ. ალექსანდრე, აგვისტო იწურება და სექტემბერი კარზე მოგვადგა!

როგორც საქმესთან ახლო გაცნობამ დამარწმუნა; თქვენს სასკოლო მშენებლობათა პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს შორის ზოგჯერ ისეთი წინააღმდეგობა ყოფილა, რომ აშენების შემდეგ ამ სკოლებში სასწავლებლად ახალშესულ შეიდიწლის ბავშვებსაც კი გააცინებს. ასე მაგალითად: კაჭრეთის რაიონის სოფ. მახარაძის სკოლის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვაში, (რომლის გადაანგარიშება 1952 წელს ხელახლა მოხდა), პროექტით გათვალისწინებული კედლების წყობის მოცულობა მექანიკურად შემცირდა 244 კუბმეტრით, 55 ათასი მანეთის „ექონომია“ გაეცედა და ის კი გაუთვალისწინებელი დარჩა, რომ სამეცდლიანი შენობა ოთხედლიანი არ ნიშნავს. შეიდიწლის ბავშვს კი არა, ახალდაბადებულ ჩვილსაც ძალაუნებურად გააცინებს ის გარემოება, რომ ამავე ხარჯთაღრიცხვაში ერთი უბრალო გარემოება არ არის გათვალისწინებული: სოფ. მახარაძეში არ მოიპოვება მშენებლობისათვის საქმარი „წყლის მასალა“, ესე იგი წყალი. იგი თორმეტი კილომეტრის სიშორიდან უნდა მოტანილიყო და, მართალია, წყალი უფასოა, მაგრამ ასეთი გარემოების გამო თქვენ იგი ლვინის ფასად დაგიჯდებოდათ.

პროექტიდან ხარჯთაღრიცხვების განსხვავებამ ნახევრად უსაძირევლოდ და უსვევნოდ დატოვა გორის რაიონის სოფ. ვარიანის სკოლა, ხოლო მარნეულის სკოლას მხოლოდ ორი მხრიდან შემოავლო ლობე.

მოუხედავად მრავალი დაღგნილება-მითითებებისა, ამ. ალექსანდრე, თქვენდამი რწმუნებული დაწესებულება დღემდე არ დაინტერესებულა სისტემატურად მიეღო ინფორმაცია აღგილებიდან სამშენებლო ობიექტებზე სამუშაოთა მიმღინარეობის შესახებ, თქვენი მუშაები შავი გირივით ერიდებიან ადგილებზე ჩასვლას, თურმე, მაშინაც კი, როცა დამთავრებული სასკოლო შენობა საექსპლოატაციოდ უნდა მიიღონ. ეს რომ ასე არ იყოს, მიმღინარე წლის მარტში საექსპლოატაციოდ გადაცემულ მახარაძის რაიონის სოფ. ნაგორის სკოლის შენობა სასპორტო დარბაზისა და საკვამლე მიღების გარეშე არ დარჩებოდა. (სახურავ-იატაკის შელებებაზე თუ აღარაფერს ვიტყვით).

ჩემი კეთილი სურვილები გადაეცით, ამ. ალექსანდრე, რაისაბჭოს აღმასკომთა იმ ხელმძღვანელებს, რომლებიც საქმისაღმი მუჟაიოთობას მხართეობზე წოლს არჩევენ, სკოლების დროზე, კარგად აშენების საქმეს კურადღებას არ აქცევენ და ჩემი სახელით გაახსენოთ, რომ სიტყვა „არდადეგი“, ანუ „არ დადეგი“ თანამდებობის პირისათვის ცოტა სხვანირად აიხსნება!

თქვენი ნახევრა

თბილისის ორჯონიქიძის სახელობის კულტურისა და დასევნების ცენტრალური პარკის ღირექცია კულტურულ დასევნებას გვთავაზობდა. სპეციალურად გამოშევებული უზარმაზარი აფიშა საზემოდ გვაუწეუბდა, რომ კვირა დღეს პარკში გაიმართებოდა გრანდიოზული სეირნობა-მასკარადი სხვადასხვა გასართობებითურთ: კონცერტებით, ცეკვებით, ატრაქციონებით, ფერადი ფეიერენსერკ-ილუმინაციებითა და ყველა ამ სიეთით გამასპინძლებას აფიშის ავტორები იმ შესაშევები ბილეთებით გვპირდებოდნენ, რომლის ფასი ერთი სამად იყო გაზრდილი.

ამა, ივლისის სიცხით შეწუხებული დედაქალაქში დარჩენილი რომელი თბილისელი დაუდგებოდა ამ ცდუნებას. სეირნობა!.. მასკარადი!.. იყიდე შესასვლელი ბილეთი და ჰაიდა... თუ გინდა—კონცერტს მოისმენ, გინდა—კინოს ნახავ, გინდა—იცეკვებ... ცალ თვალს ცაში ატყორცნილ ფერად შუშხუნებს გადავლებ... ისურვებ—სამასკარადო ტანსაცმელს გადაიცვამ („ბალს მრავალი სამასკარადო მორთულობა აქვს მსურველებისათვის განკუთვნილი“), გვაუწეუბდა აფიშა), ან გრაფად გამოწყობი, ან პილალგოთ, ან კინტოდ, თუ გსურს ეშ-მაკადაც, თავზე რქებს დაიდგამ, ბოლოში კუდს მოიბამ, თვალებს ნიღბით აიფარებ და იმსიარულე რამდენიც გულს სურდეს!... ბოლოს, თუ დაიღალე, მტკვრის პირად გადი და მდინარიდან მობერილ გრილ ნიაქს შუბლი მიუშვირე...

ასეთი ოცნებებით აღსავსე გავეშურე პარკისაკენ. მით უფრო, იმ კვირა დღეს „დინამოს“ სტადიონზე ფეხბურთის თამაში არ ყოფილა. ასე რომ, როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად სრულიად დაშვიდებული და დასევნებული ვიყავი. თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, როგორი აღტაცებული მიედიოდი ხმაურიან და მხიარულ მასკარადში მონაწილეობის მისალებად.

პირველ ყოვლისა, ერთმა გარეშო-ებაშ გამაცა. პარკში შესასვლელი ბილეთის ყიდვისას, მოლარებ ღდნავ დაჭმუქნილი ბილეთი მომაწოდა, რომელიც ბალში შესვლისას კონცერტოლიორმა გამომართვა და „კუნტროლი“ არ მოახია, ისე გადამალა. ბალში შესასვლელთან კი ასეთი განცხადებაა გაკრული: „შესასვლელი ბილეთები შეინახეთ გამოსვლამდე“. ალბათ კონცერტოლიორები ძალზე დაინტერესებულნი არიან ამ ბილეთებით, რომ ასე ხარბად აზომევენ მათ მოქალაქეებს. იდვილი შესაძლებელია ჩემმა ბილეთმა კიდევ მრავალი რეისი გააკეთა კონცერტოლიორიდან მოლარისაკენ, მოლარიდან—პარკში შემავალ მოქალაქეისაკენ, მოქალაქეისაგან—კვლავ კონცერტოლიორისაკენ და ასე შემდეგ...

ბილეთზე ფიქრი ბოშების ჭრელ კაბებში გამოწყობილმა ქალებმა შემაწყვეტინეს. ერთი შეხედვით, შესანიშნავი სამასკარადო სანახაობა იყო. ყოველ კუთხეში, ბილიკზე თუ ხეების ძირას იდგნენ ისინი, ხელში ფერადი ბუშტები, საპიპინებლები, რეზინის ძაფზე ჩამოკიდებული ბურთები ეჭირათ. ახლო რომ მივედი, ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა. რის მასკარადი!... ისინი ხელზე გამყიდველნი ალმოჩნდნენ, რომლებიც ძირ ფასებში ჰყიდდნენ შინ ნაკეთებსათამაშოებს. არ ვიცი, რომელი სავაჭრო ორგანიზაციის წარმომადგენლები იყვნენ ისინი, მაგრამ პარკის დირექცია რომ ამ მეწროილმანების წინააღმდეგ არავითარ ზომებს არ ლებულობს, ეს იმ მამებმა და დედებმა უკეთ იციან, რომელთა ბავშვების გამოსაჯავრებლადაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყვნენ ისინი ჩასაფრებულნი. ვანილისა და ნაფტალინის გადამყიდველნი-ლა აკლდა ბოშაქალების იმ „პროცესიას“.

არც პარკის დირექციის შეპირება გამართლდა სხვადასხვა სანახაობათა უფასოდ ჩემნების შესახებ. გარდა ლია ესტრადაზე გამოფენილი სასულე ორ-

კესტრისა, რომლის მუსიკა ბალის მყრუებულ კუნცულშიც კი ისმოდა, არაფერი არ იყო უფასო. ცეკვა გსურდა, ახალი ბილეთი უნდა შეგეძინა, კონცერტი გინორდა გენახა, სხვა ბილეთი უნდა გეყიდა, კიორსოფისაც დამატებით ფასს თხოულობდნენ.

მოზღვავებული ბავშვების სასწრაფოდ თავიდან მოსაცილებლად კარუსელი ხუთი წუთის ნაცვლად ორ წუთს ტრიალებდა და უსულგულო ძიები შეუბრალებლად ადრე ჩამოსვამდნენ ხოლმე ცხენებიდან, ბატებიდან, ლომებიდან და ეტლებიდან სეირნობით დაუქმაყოფილებელ ბავშვებს.

ერთი სიტყვით, მთელი პარკი გადაქცეული იყო დიდ ბაზრად, სადაც ყველგან ახალ-ახალ საფასურს მოითხოვდნენ თქვენი გაზრდილი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად.

პარკის ათასეულ დამსწრეთა შორის ხეთიც არ იყო მასკარადის ტანსაცმელში მორთული და ისინიც უხერხულად დადიოდნენ მოსეირნეთა შორის. მასობრივ ლონისძიებათა მოწყობის მესვეურებმა ვერ მოახერხეს გასართობად მოსულ თბილისელთა ორგანიზება. მთელი ლამის განმავლობაში ხუთიოდე შუშეუნა-ლა აუშვეს და ამით ამოსწურეს შეპირებული ფერადი ფეიერენსერილუმინაცია. თუ ამას დავუმატებთ ჯინურებში გასაყიდად გამოტანილ თბილიმონათსა და ლუდს, მასკარადის სურათი სრული იქნება.

დალლილი, დაქანცული, დაუქმაყოლებელი და ჯიბეცარიელი გამოვედი პარკიდან. ჩემს წინ შუახინის კაცი და თორმეტიოდე წლის ბიჭი მიღ-ოდნენ. უცემ ბიჭი შეჩერდა, მობრუნდა, ერთხელ კიდევ შეხედა ხალხით სავსე კულტურისა და დასვენების პარკს და დალლილი ხმით ჩუმად ჩაილაპარაკა:

— მამი, ეს რა მასხარადი იყო!...  
მართლაც და რა „მასხარადია“ ასეთი „მასკარაზების“ მოწყობა!...

## გემოთის უბალა

ტყიბულში ახალაშენებულ საერთო საცხოვრებელ  
სახლი აიგანი ჩამოენგრა. სახლის მშენებლობას ხელმძღვანე-  
ლობდა ინჟინერი გ. საჩაქე.

გაზეთებიდან

ნაზ. დონისა



1. მიმღები კოშისის ფეხი — ეს აიგანი ჩატომ-  
ლაც არღვევს სახლის ხაერთო არქიტექტორულ ხტილს...



2. ინჟინერი სახავი — არ მოგწონთ?.. ინებეთ,  
ბატონო, ეხეც უავნო სახლი.

## შეპრის ზღვა და ნაიმა

მე და ნიანგი ნელ-ნელა გავყეთ სტალინს სახლ-ლაბა-  
ბრისპექტს, რომლის აქეთ-იქით აწვდილიყენენ სანატორიუმები.  
ზის თეთრი კედლები.

უეცრად დაიქუხა. ყომრალი ლრუბლებიდან გამოვარდა  
ელვა და მთების ფერდობებზე დაიკლაკნა.

— არიქა, საღმე შევეუაროთ, თორემ აქაური წვიმის.  
ამბავი რომ ვიცი, სულ ერთიანად დაგვალბობს.— დავიძახე მე.

იქვე ახლო მდებარე სახლში შევცვავდით და თავისუფ-  
ლიდ ამოვისუნთქეთ.

სახლში არავინ ჩანდა. გაკვირვებულებმა მიმოვიხედეთ,  
რადგან საწოლები, მაგიდა, სკამები და ოჯახისთვის ცველა  
საჭირო ნიგთი იქვე იყო. უცნაურად მომეჩენა ეს და დავე-  
ჭვდი. უეცრად შევამჩნიო, რომ წვიმამ თავით ფეხებამდე გამიარა  
და ლვარად დაიწყო ძირს ჩამოდენა. როცა წყალი კოჭებს  
ზევით ამცდა, იატაჭე დადგმულ ტაშტებიდან და ვედროები-  
დანაც გადმოდენა დაიწყო. ავიხედე ზევით და შავ-შავი ცა  
დავინახე, ელვა-მეხით შუაზე გარღვეული. უმრნო ფანჯრები-  
დან ქარმა შემოგვიტია და ფანჯრის დამპალი ჩარჩოები ძირს  
გადმოყარა.

შეშინებულები გამოცვივდით და მის მომიჯნავე სახლს  
მივაშურეთ.

აქაც ისეთი ამბავი დაგვხვდა. ოჯახის აეეჯი იქვე იყო,  
კაცის ჭაჭანება არსად.

ის იყო აქედანაც ვაპირებდით გაქცევას, რომ მაგიდის  
ქვევიდან ქათამივით გალუმპულმა ქალმა გამოყო თავი.

— ნურსად ნუ წახვალთ, ბატონო, ტყუილად დაილლით  
მუხლებს. ამ გაყოლებაზე სულ ასეთი სახლებია: 41 ნომერი,  
43, 45, 47, სულ ასეა მინგრეულ-მონგრეული. კურორტთა  
სამმართველოს ეკუთვნის და შვიდი წელია არ შეუქეთებია.

გაკვირვებულებმა შევიხედეთ მაგიდის ქვეშ.

ახალგაზრდა ქალი კრუხივით გადაფარებოდა შიშისაგან  
მოკუნტულ ორ ბავშვს და მაშინებელ მივხვდით, თუ პირველ სახლ-  
ში რატომ არავინ არ დაგვხვდა.

რა მნიშვნელობა ჰქონდა სად დაესველდებოდით. გამო-  
ვედით გარეთ, რადკან ცის სუფთა წყალი ვარჩიეთ დაუანგულ  
სახურავისას.

ნიანგმა დარცხვენით შემომხედა და მაინც გამამხნევა:

— არაურა, მალე გადაიღებს წვიმა; ერთ წუთს რომ  
დარია, მეორე წუთს წვიმს აქ, ანდა პირიქით. მივიდეთ სა-  
სტუმროში და იქ დაეიშროთ სველი ტანსაცმელი, მერე ჩავ-  
წვეთ ფუნფულა ლოგინებში და ვიღორაოთ.

სასტუმრო „გარიფაშის“ კომენდანტი თავაზიანი ქაცი  
გამოდგა. ჩვენი მწუხარება გაიზიარა, მაგრამ ბინის მოცემაზე  
ცივი უარი გვითხრა.

— არ გვაქვს, ბატონო, და რა ვქნათ? ა, აურ კითხეთ  
ამ პატიოსან ქალს, თუ ყველა ნომერი დაკავებული არაა.  
ასეა, ხომ, დაშა! ა, ბატონო, ხედავ, თავი დაიქნია. ასეა და  
რა ვქნა!

დამლაგებელმა ქალმა კომენდანტის სიტყვები დაადას-  
ტურა, მაგრამ ნიანგი მაინც დაეჭვდა.

— ნუთუ არც ერთი ნომერი არ არის თავისუფალი?


— არ არის, ბატონო, და რა გიყო ახლა? მთელი კუ-  
რორტთა სამმართველოს სანატორიუმის ექიმები აქა ცხოვ-  
რობენ, ზოგი მათი ბუბპალტერი და ექთანიც აქ შემოგვეხიზნა  
და ხომ ვერ გამოეყრი აქეთ თქვენი გულისათვის!

— კი, მაგრამ აქ, დამსვენებლები ან საქმეზე მოვლინე-  
ბული ხალხი უნდა იყოს და ბუბპალტერ-ექიმებს რა უნდათ?

— რაც თქვენ გინდათ, ბატონო, ის იმათ უნდათ. ამ  
ულვაშს გეფიცებით, ოცდაათ ნომერზე მეტი აქვთ დაკავებუ-  
ლი.

## განკარგულება-პირების რმოლები

ზოგიერთი კოლმეურნეობა უყურადღებობას იჩენს პირუტყვის საკვების დამხადების საქმეში.  
გაზეთებიდან




1. — ფოსტის დამდარებელს კოლმეურნეობის თაგ-  
მუდომარებოთ მიძებს ეს ცირკულარები ჩვენთვის ხაკების  
დამზადების შესახებ...  
— მერე?!



2. — თაგმუდომარე ფერმის გამგეს გადახცემს ცირკუ-  
ლარებს...  
— მერე?!



3. — ფერმის გამგე გადახცემს მწყებებს...  
— მერე?!!!



4. — მწყების ხახრეს მომარჯვებს და ჩვენ მოგვდგება:  
„რა გაბლავლებთ, თქვე ოხრებოთ...“

მან სათითაოდ დაგვათვალიერებინა ოთახები.  
— ა, ბატონი, ახლაც თუ არ გჯერათ, თაქს მოვიყლავ  
პირდაპირ.

უყელა ოთახი მართლაც დაკავებული აღმოჩნდა. ბოლოს,  
დამის გასათევი რაკი არა გვერნდა, შევებრალეთ იმ კაცს და  
ერთი ნომერი გაფილო.

— ხედავთ, ბატონი, აქეთ-იქით ორ კაცს ძინავს. ნუ  
გააგებინებთ თვარა ერთ აკადემიურალ ატეხენ. იატაქზე დაწერით  
წყნარად და დებინეთ. ზაფხულია და გაცივების არ შეგვ-  
შინდეთ.

რაკი გარეთ არ დავრჩით, ესეც ვიკმარეთ და გავწურეთ  
ტანსაცმელი. გავწურეთ, მაგრამ ისე გრილად ვიყავით, რომ  
ცახცახი აგვიტყდა. იძულებული გავხდით ერთმანეთს მივქრო-  
ბოდით და ისე დაგვეძინა.

შეაღამისას რაღაც წამომედონ ფეხზე და ვილაცამ ძირს  
ბრაგვანი მოადინა. გამომელვიდა თუ არა, გინება მომესმა:

— ასე დავეჭისოს ცოლ-შვილი, რავაც მე კინაღამ თვა-  
ლი დავიფსე, ვინ ხარ შე კოჯახამისაწყვეტო, რავა გათხლა-  
შულხარ პოლზე. გუშინწინ იყო, ვინცხა შემომიგდო აქანე,  
გუშინ იყო კიდევ-ვინცხა, ახლა ეს შემოუყვანია იმ დასალუ-  
ბავს, რა მეშველება ახლა მე, თუ ასე გაგრძელდა. დედუ,  
რა მეშველება! ადეკი, ვინ ხარ, აღამიანო! ეივსო სახლი წყლით,  
არ დაიხრინ მაინც.

დაფეთებულები წამოცვიდით ფეხზე.

— წყალში გვძინებია, დალოცვილო, ალბათ, ძალიან და-  
ვილალეთ ხეტიალით. ცოტა ადრე გაგვალვიძებდი შენც, შე  
კი კაცო!..

— ე ბიჭო, მაგის დრო არ არი, მიშველეთ თუ კაცი ხარ,  
სინათლე მაინც აანთე, შენ მხარეს არის.

აგანთე სინათლე და შეშინებულმა შევყვირე, რადგან  
ვერც ნიანგის ქუდი და ველარც ჩემი შლაპა დავინახე მაგი-  
ლაზე. მივიხედ-მოვიხედე და ოთახის ახლანდელი პატრონის ხელ-  
ში აღმოჩნდა: იდგა ის დალოცვილი და ჭრილან ჩამომდინარე  
წყალს უშვერდა.

— მე მგონი ზრდილობა დაგიკარგავთ, ბატონი, რომ  
სხვის ქუდს უბოლიშოდ ეპყრობით.

— ნუ დამძრახავთ, ჩემო ბატონი, ტაშტები და ვედროები  
გაივსო და გადალერას ვერ აუდივართ. აი იმ პატიოსანი კაცის  
ჩექმებსაც პირზე გადმოსდის უკვე წყალი და თქვენი შლაპა-ლა  
დარჩა უქმად მაგიდაზე. ეგერ გაივსო კიდეც, გაიტა გადალე-  
რე, თვარა ამაღამ ყელას გაგვედავს, თუ დაგუბდა... რაო,  
ბატონი, სხვა ოთახშიო? აჲ, არ გაბედოთ! იქ უარესი ამბავი  
იქნება ახლა. გაიტა შენს გაზდას, დაცალე, თორემ დაილვარა  
ნახევარი იატაქზე...


დაფეთებულ-დაბნეულები შევყურებდით მე და ნიანგი  
ერთმანეთს და ვინატრეთ მალე გათენება, რომ როგორმე ცო-  
ცხლებს გავეცხრო და შემდეგში უსაგზუროდ აღარ წამოვსუ-  
ლიყავით აქეთ.

ლ. გრელაზვილი

# ხახვიზით შესრულდა

გაერ ზღვის კირალ

ნაბ. თ. მახანახი



ზღვის ტალღების ხეიგარულით  
მთა და ბაზი გადალახა,  
მაგრამ ნაპირს ჩომ მიადგა,  
ზღვა თვალითაც ვეღარ ნახა!

ზაფხულის შეუძლებელ ჰარეში რაღაცნაირი, იხილებული ხმები გაისმის. თითქოს ცაში დასიცხული თხები კიქინებულ და ცხერები ბანს ეუბნებიან, ეს უცნაური ხმაური ესმით სოფლიდან რაღონის ქსენონში ლასლასით მიმავალ ავადმყოფებს.

— ეჭერ, ნერა რა კიკინი ისმის? ცა ხომ არ გაიხსნა ი ტიელარ?

— არა, ზეცაში თხებსა და ცხერებს რა უნდა? ვერა ხედავ ა იმ სასწრაფო დახმარების მანქანასა? იქიდან მოისმის ეს გნიასო.

— ალბათ დაჭრილი ვინებ თუ მოჰყავთ საწყოლი.

მართლაც წუთი და გლეხებს გვერდით ჩაუქროლა კაჭრეთის რამ-სააგადმყოფოს სასწრაფო დახმარების მანქანამ. ღია სარემლიდან რქა-გრუბილი თავები გადმოყენ და წვერებს აცანცარებდნენ შეწველი თხები; ისინი თითქოს პროტესტს უცხადებდნენ უდიერ შოთერს სწრაფი სკლისთვის და შესჩიოდნენ გვერდით, სავარძელზე მსხდომ ცხერებსა და ბატქნებს:

— კი, კი, კი, კი-ი-ი-ი!

— ბე-ბე-ე, ბე ე-ე, — „უპასუხებდნენ“ ცხერები.

იი, მანქანამ ჩაიქროლა, გზაზე კორიანტელი და თვალს მიეფარა. მგზავრები კი გაოცებას ეძლევან და თავის ქნევით გაიძახიან:

— ჰე, ჰე, რა მინბაზია ე ჩენი გამგეო, რამ მოაფიქრებინა თხებისა და ცხერების ავტომო გადაყვანა, ჰა?

— რა ვიც, შეილოსა, მანქანა ჩენიდან პუნქტმა და...

— შენ ეგა თქვი: ჩენ ფეხით გვაწარტალებს ამ სიცხეშია, მაგას კი თხები გადაჰყავს.

— ეგ რა არი, ამას წინათ კირი და აგური გადაზიდა მაგ მსუბუქი მანქანითა: მარანს ყური უნდა მოვადგათ, — იძახდა,

— ეხ, ჩემი ძმაო, რაც მაგან მინი და უკადრისი არ ჩაიღინოს — ის გაგიკირდეთ, თორემა ეგ რა გასაკეირელია! — ჩაურთო ერთმა გულ-ხვოსევნით.

— რაო, დავიჯერო ი ჩენი პუნქტის გამგე ვარაზანაშეილი ევეთი თავგასულია?

— რა „დაჯერება“ გინდა, შენი თვალით არ დაინახე? მაგრამ რაც ის თხებისა სჩადის, ეგ იმასთან — გოზინაყია.

— გოთომ ისეთი რა ქნა? ალბათ ი ექთანებს რომ დაერია, იმაზე თუ იცი რამე.

— ვიცი, როგორ არ ვაცი!

— მანც რაო, ბაციკა? გვითხარი შენს გაზრდასა.

და „ბაციკა“ ცნობისმოყარე თანამგზავრებს დაწვრილებით მოუთხოვერთი ქეიფის იმბავი: შეზარხოშებული გამგე ვარაზანაშეილი ტრაფილების ეშების ალში გაეხვია და ქეიფიდან დაბრუნებულმ თვეის კაბინეტში „სამსახურის საქმეზე“ გამომახვილებულ ექთანებს რაინდულად გული გადაუშალა. იგი პირველად სიყვარულში ექთან გ-ს „გამოუტყდა“ და გაუპატიურება დაუბირა, ის-ის იყო სწვდა მკლავებში, მაგრამ უცებ კაბინეტის კარებზე რაღაც მიჯახუნება და ფხავნა გაისმა. თურმე წუიტყვით, გ-ს სახლიდან კატა გამოჰყოლოდა და რაკი პატრიონის ლოდინი მოეწყინა, მიახტა კარებს და ფხავნა დაუწყო. ვარაზანაშეილ მა ითიქრა დანაზაულზე წამასწრეს და მსხვერპლს ხელი უშვა. შემდეგ კი, იცოცხლეთ, ჯავრი იყარა კატაზედა: ზამბილში ჩასვა და სადღაც ხევში გადაგდო — ხელი რათ შემიშალეთ.


რაკი გ-ი ხელიდან გაუსხლტა, ვარაზანაშეილმა ასეთივე ხერხით „სიყვარულობია“ სცადა მეორე ექთან, მაგრამ პასუხად სილა მიიღო. შემდეგ თავაწყეტილმა უფროსმა სანიტარი ქალი შეიტყუა, რომელიც აღშოთოებულ-აცრემლებული გამოექცა.

— ეგ ხომ ყველმ იცის ამ ჩენს რაიონშია, — შეაწყვეტინა ბაციკას ერთმა თანამგზავრმა, — მეგონა ახალს გვეტყოდი, მაგის საჩივარი ხომ ჯერ კიდევ თლექის დროს ჯანგანყოფილებაზიც შეიტანეს, რაკიმშიც, სასამართლოშიც, მაგრამ ვარაზანაშეილი არ იცი რა მოხერხებული კაცია? ყველგან ისე ჯარასაყით დატრიალა საქმე, რომა მთელი დანაზაულობა ხახივით შეინარჩუნა.

და ასეთი მუსაიფით განაგრძეს გზა სააგადმყოფოსაკენ მიმავალმა გლეხებმა. როგორც ზემოაღწერილი ახირებული სანაზობა, ისე ეს საუბარი კაჭრეთის რაიონის შარაგზაზე მოხდა, ექიმი ვარაზანაშეილიც ამავე რაიონისააგადმყოფოს გამგე იყო. იყო და აღარ არის: ის მოხსნეს, მოაცილეს, როგორც ულიკისი და აბეზარი ადამიანი, მაგრამ ერთი კითხვა დარჩათ კაჭრეთელებს, რაც ჩენც გვსურს გავიმეოროთ:

ნერთუ მარტო ეს ქმაროდა იმ დანაზაულობათა სასჯელად, რაც ვარაზანაშეილმა ჩაიღინა და რაც მეცენატებულურად იყო მოხერხობილი ბაციკას საუბარში?

გვგონია, რომ არა.



— ეს რა მოუგონია ჩვენს მათესა, ცირკში გამოხდებას აძირებს?

— არა, ფური გაუხდა აფად და რაონში შიგავს ეტექიმთან.

### ნიანგა უკველა

• რედაქტორიმ მიიღო კორესპონდენცია, სადაც მხილებული იყო მცხეთის არტელ „ახალმშენის“ გამგეობის ცუდი მუშაობა. არტელის გამგეობის თავმჯდომარე შ. დონდუა და მისი მოადგილე მ. გამყრელიძე ძალზე სუსტად ხელმძღვანელობდნენ არტელის სამეურნეო საქმიანობას, ირლვეოდა საფინანსო დისკიპლინა, ადგილი ჰქონდა 4-5 თვის განმავლობაში მუშავე ხელფასის გაუცემლობას, ცუდად იყო დაყენებული შრომის დისკიპლინა. გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს მ. გამყრელიძეს ბრალი ედგოდა აგრეთვე ლოთობაში და საყოფაცხოვრებო საკითხში თავშეუკავებლობის გამო.

რედაქტორმ კორესპონდენცია ზომების მისაღებად გადაუგზავნა საქ. კა. მ. მცხეთის რაიონში.

არტელ „ახალმშენის“ გამგეობის თავმჯდომარე შ. დონდუა გათავისუფლებულია თანამდებობიდან, ხოლო თავმჯდომარის მოადგილე მ. გამყრელიძე ლოთობისა, საყოფაცხოვრებო საკითხში თავშეუკავებლობისა და ალიმენტის გადაუხდელობისათვის მოიხსნა სამუშაოდან.


### ნიანგა ვერ უკველა

• შრომის ქ. № 9 სახლში მცხოვრები 1945 წლიდან დაღიან თბილისის ორჯონიგიძის რაიონის საბინაო სამმართველოში და მათი სახლის სახურავის შეკეთებას მოითხოვენ. „მეორე კვარტალში“, „მესამე კვარტალში“ — პირდებიან საბინაო სამმართველოს ბიუროერატები და სახლის სახურავის შეკეთება გეგმიდან გეგმაში გადადის.

ამა წლის იანვარში აღნიშნულ საკითხზე მამხილებელი მასალა მიიღო ნიანგმა. მასალა ზომების მისაღებად გადაეგზავნა ორჯონიგიძის რაიონის საბინაო სამმართველოს, როგორმაც შეგვატყობინა, რომ „სახლში აუცილებელი და გადაუდებელი სამშაოების ჩატარება გათვალისწინებული იქნება გიმდინარე წლის მეორე კვარტალში“.

მიმდინარე წლის მეორე კვარტალის შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა შრომის ქ. № 9 სახლის სახურავში, მაგრამ საბინაო სამმართველოს მუშაკებს რედაქტორისა და ხენებულ სახლში მცხოვრებთა მოტკუნძის გარდა არაფერზე უფიქრიათ.


საინტერესო ვიცოდეთ: 1945 წლიდან ხენებულ საბინაო სამმართველოს რამდენი უფროსის ბინა იყო შესაკეთებული და რამდენი დღით გაჭიანურდა მისი შეკეთება?



რედაქტორი ქართველი კარლ კალაძე მ. სარედაქტორი კოლეგი: ერ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, ურ. ჭავჭავაძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

როგორც ამერიკული განეთები აღნიშნავს, აქციების კურსი ნიუ-იორკის ბირჟაზე დაუკა კორეაში ომის შეწყვეტისთანავე.

ეროვნული  
გიგანტის



სოც შეწყდა ცეცხლის ფრჩევა,



თვალშა იწყო ცრემლის ფრჩევა.

ნახ. გ. ლომიძეს